ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 311

ქალაქი ქუთაისი 17 სექტემბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
მე-5 სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეხუთე სხდომა მ/წლის 19 სექტემბერს, 14.00 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი N3/.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეხუთე სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი ს** შემდეგი პროექტი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (მდებარე ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედნისა და თბილისის ქუჩის გადაკვეთაზე) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გიორგი გიორგობიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი ირაკლი შენგელია